სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 1

ქ.ქუთაისი 06.09.2021

სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ

კათედრის წევრები:

1.ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება

2.მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება.

3.ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი

4.გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი

5.ქალთამზე მელქაძე - სამოქალაქო განათლება

6.ირაკლი დეისაძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება,

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2020-2021 სასწავლო წლის თავმჯდომარემ **ბესიკ მაჩიტაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა;
2. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
3. გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა/განხილვა;
4. პედაგოგთა საათების განაწილება;
5. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა/გადახედვა;

საკითხი N1. კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა.

მომხსენებელი: საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის უხუცესი წევრი **ქალთამზე მელქაძე.**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, კათედრის მუშაობის პრინციპები, გადაწყვეტილების მიღების წესი. ასევე შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით. ამასთანავე კათედრის წევრებს შეახსენა, რომ კათედრის თავმჯდომარედ ერთი და იმავე პიროვნების არჩევა შესაძლებელია სამჯერ ზედიზედ. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კათედრის წევრებმა უნდა აირჩიოს კათედრის თავმჯდომარე. კათედრის სხდომების ოქმების წარმოებისათვის კი საჭიროა არჩეულ იქნეს მდივანი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: მასწავლებელმა **მურმან სურმავამ,** მან აღნიშნა, რომ ბესიკი მაჩიტაძე კათედრის ტავმჯდომარედ არჩეული იქნა ზედიზედ სამჯერ და შესაბამისად

აუცილებელია დასახელდეს ახალი კანდიდატურა, მან კათედრის თავმჯდომარედ დაასახელა **ქალთამზე მელქაძე,** ხოლო მდივნად **ზინა ბუბუტეიშვილი.**

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

სასწავლო წლის ვადით საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს **ქალტამზე მელქაძე,** ხოლო კათედრის მდივნად **ზინა ბუბუტეიშვილი.**

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

საკითხი N2. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შეიმუშაოს კათედრის სამოქმედო გეგმა. მან კათედრის წევრებს გააცნო 2020-2021 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

აზრი გამოთქვა: ბესიკი მაჩიტაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა კათედრაში გაერთიანებულ ყველა პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას და ასევე მიმართულებას ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ კათედრის სამოქმედო გეგმისათვის წარმოდგენილი სახით

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი-0

დაადგინეს: დამტკიცდეს საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

საკითხი N3. გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა/განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანების დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ,,შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო კონკრეტულ სკოლაში მოქმედებს არჩევიდან 5 წლის განმავლობაში''. ლიცეუმმა 2012-2013 სასწავლო წელს აირჩია გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლითაც უნდა ასწავლონ 5 წლის განმავლობაში. გარდა ამისა განათლების სამინისტროს მიერ საშუალო საფეხურზე არ მომხდარა ახალი სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭება, შესაბამისად 2021-2021 სასწავლო წლისთვის წინა წელს შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები:

- ✔ X-XI კლასი გეოგრაფია - მ.ბლიაძე, გ.ჭანტურია, გამომცემლობა ბაკურ სულაკაური.
- ✔ X-XI-XII კლასი ისტორია - ნ.კილურაძე, გ.სანიკიძე, გამომცემლობა ბაკურ სულაკაური.
- ✔ X კლასი სამოქალაქო განათლება - თ.ტალახაძე, თ.ბრეგვაძე გამომცემლობა ბაკურ სულაკაური.
- ✔ XII კლასი სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ნ.ტალახაძე, გამომცემლობა სიდი.
- ✔ XI კლასი საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება - ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე არსებული სახელმძღვანელო (http://ncp.ge/ge/curriculum/subjects/social-sciences/traffic-signs-road-security)

კათედრის თავმჯდომარემ - **ქალთამზე მელქაძემ** დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მასწავლებელს უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმის 25-ე მუხლის „ა“ და „ბ“

ქვეპუნტებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით გამოიყენოს სხვა საგანმანათლებლო რესურსი და თვალსაჩინოება.

გეოგრაფია - საატესტატო ტესტების სავარჯიშო (მ.ბლიაძე, გ.ჭანტურია. 2013.)

- გეოგრაფია საატესტატო გამოცდებისთვის თეორიული საკითხები (მ.ბლიაძე, გ.ჭანტურია. 2013.)
- საქართველოს ატლასი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი)
- VII – VIII კლასის მსოფლიოს ატლასი
- მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები, საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები, კავკასიის ფიზიკური რუკა, გლობუსი.

ისტორია - ტესტები ეროვნული გამოცდებისთვის (ნ.ახმეტელი, ბ.ლორთქიფანიძე. 2017)

- საქართველოს ისტორიული ატლასი (მ.სანაძე, თ.ბერაძე. 2003)
- სხვადასხვა ისტორიული რუკები

აღნიშნულიდან გამომდინარე, კათედრის სხდომაზე მასწავლებლების მიერ მოხდა დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა.

მომხრე - 6 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

2020-2022 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებელი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა განისაზღვროს არსებული ჩამონათვალის მიხედვით.

საკითხი N4. პედაგოგთა საათების განაწილება.

მომხსენებელი: მასწავლებელი **ქალთამზე მელქაძე.**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო პედაგოგებისათვის საათების სავარაუდო გადანაწილების გეგმა. მან აღნიშნა, რომ საათობრივ ბადეში არის განხორციელებული ცვლილებები,რომელიც უშუალოდ საზოგადოებრივ კათედრის წევრებს ეხებათ. კერძოდ სამოქალაქო განათლების საათების რაოდენობა განისაზღვრა 2 საათით. ასევე ლიცეუმი ჩაერთო საპილოტე პროგრამაში 10 კლასში თავდაცვა და უსაფრთხოება. თავჯდომარემ მოუწოდა კათედრის წევრებს შენიშვნების შემთხვევაში დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი.

კათედრის წევრები გაეცნენ სავარაუდო საათობრივ ბადეს და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კათედრის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პედაგოგთა საათების გადანაწილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

პედაგოგთა საათები განაწილდეს შემდეგნაირად:

სამოქალაქო განათლება

1. მელქაძე ქალთამზე - X^1 ,X^2, X^3, X^4, X^5. (10 სთ.)

ისტორია

1. მელქაძე ქალთამზე - XII^2 , XII^3. (6 სთ.)
2. ბუბუტეიშვილი ზინა - X^1, X^2, X^3 , X^4 , XI^1, XI^2 , XI^3, XI^4, XII^1. (19 სთ.)
3. ბასილაძე გიგა - X^5, XI^1, XI^2 , XI^3, XI^4, XII^1, XII^2, XII^3. (19 სთ.)

გეოგრაფია

1. მაჩიტაძე ბესიკი - X^3, X^4, X^5, XI^1, XI^2, XI^3, XI^4. (14 სთ.)
2. სურმავა მურამანი - X^1, X^2, XI^1, XI^2, XI^3, XI^4. (12 სთ.)

საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება

1. მაჩიტაძე ბესიკი - XI^1, XI^2,XI^3, XI^4. (4 სთ.)

2. სურმავა მურამანი - XI[1], XI[2],XI[3], XI[4]. (4 სთ.)

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება

- ✔ ირაკლი დეისაძე - XII[1], XII[2], XII[3]. (3 სთ.)

თავდაცვა და უსაფრთხოება

- ✔ ირაკლი დეისაძე - X[1], X[2], X[3] , X[4] , X[5] (5 სთ.)

მომხრე - 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

საკითხი N5. ***შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა/გადახედვა;***

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული მასწავლებლის მოვალეობაა გააკეთოს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კერძოდ, კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება და შენახვა. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები. კათედრის ფუნქციაა, კოორდინირება გაუწიოს მასწავლებელების მიერ შემაჯამებელი დავალებების ჩატარებას და მოახდინოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი.

აზრი გამოთქვა: კათედრის წევრმა **მურმან სურმავამ** აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვიჩვენებს მოსწავლეების მიერ მიმდინარე თემების ათვისების ხარისხს, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ინდივიდუალურად იმუშავოს მოსწავლეებთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -6
წინააღმდეგი:-0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა იხელმძღვანელონ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზების ფორმებით.

სხდომის დასრულების დრო: 13:30 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/ზ.ბუბუტეიშვილი/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე  **/ქ. მელქაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 2

ქ.ქუთაისი 2..10. 2021

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ
სხდომას ესწრებოდნენ:
კათედრის წევრები:

1.ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება

2.მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება.

3.ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი (კათედრის მდივანი)
4.გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი
5.ქალთამზე მელქაძე - სამოქალაქო განათლება (კათედრის თავმჯდომარე)
6.ირაკლი დეისაძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება,

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეების მომზადების საკითხის განხილვა;

საკითხი #1: ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეების მომზადების საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი. მან კათედრის წევრებს შეახსენა, რომ აუცილებელია დაიწყოს მოსწავლეების აქტიური მზადება ეროვნული და კერძო ოლიმპიადებისათვის მან აღნიშნა, რომ ოლიმპიადების მიზანია სწავლისადმი ინტერესების გაღვიძება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და მათი წახალისება, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ სკოლისთვისაც. კათედრის თავმჯდომარემ აგრეთვე შეახსენა წევრებს, რომ ოლიმპიადა წლევანდელ სასწავლო წელს ტარდება გეოგრაფიაში და ისტორიაში.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: **გიგა ბასილაძემ** და **ზინა ბუბუტეიშვილმა** აღნიშნეს მოსწავლეთა მონდომება და წარმატება წინა სასწავლო წლებში. მათი აზრით, საჭიროა, მასწავლებლებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს ოლიმპიადებისთვის სათანადოდ მომზადებაში, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებები იქნეს მიღწეული.

კათედრის თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: - 6
წინააღმდეგი:-0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა მოახდინონ მოსწავლეთა მომზადება ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ინდივიდუალურად შეადგინონ მეცადინეობის გრაფიკი თითოეულ მოსწავლესთან.

სხდომის დასრულების დრო: 16:45 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/ზ. ბუბტეიშვილი/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ქ.მელქაძე/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 3

ქ.ქუთაისი 18.11.2021

სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომას ესწრებოდნენ:
კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიისა და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი;
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიისა და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი;
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -კათედრის მდივანი,** ისტორიის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი;
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მასწავლებელი;
5. **ქალთამზე მელქაძე** - კათედრის თავმჯდომარე, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი;
6. **მაია გაბუნია -** დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესში
7. **ვაჟა ჭელიძე -** სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 5 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. მეთოდური საკითხის განხილვა-რეკომენდაცია

საკითხი #1: მეთოდური საკითხის განხილვა-რეკომენდაცია

მომხსენებელი: ისტორიის მასწავლებელი **ზინა ბუბუტეიშვილი**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას პრეზენტაციის სახით სხდომის წევრებს გააცნო და ისაუბრა მეთოდური საკითხზე - **,,კომპლექსური დავალების დადებითი და უარყოფითი მხარეები"**

სასწავლო პროცესში ახლა ინერგება და მომდევნო წელს საშუალო საფეხურზეც დაინერგება კომპლექსური დავალებები, რომელსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც თავად მოსწავლე ქმნის. დავალების ეს ტიპი მოიცავს რამდენიმე დავალებას ერთად: დროსა და სივრცეში ორიენტირებისთვის, ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისა და კანონზომიერებების დადგენისთვის საჭირო სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, მოძიებას, დალაგებას, მსჯელობას, პრეზენტაციას. ის შეიძლება იყოს ინდივიდუალურიც და ჯგუფურიც.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მიმდინარეობს – „ახალი სკოლის მოდელში" კომპლექსური დავალება შუალედური მიზნის როლს ასრულებს, რომელზე მუშაობასაც რამდენიმე გაკვეთილი ეძღვნება.

დამოუკიდებელი სამუშაო მიმართული შეიძლება იყოს:

სასურველია მოხდეს კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად – კლასში მოსწავლეებმა შეიძლება იმუშავონ სხვადასხვა კომპლექსურ დავალებაზე, ან ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხს უნდა ეხებოდეს.

შინაარსის მიხედვით კომპლექსური შემოქმედებითი დავალებები იყოფა:

- შემეცნებითი,
- კვლევითი ხასიათის დავალებებად;
- ლოგიკურ ამოცანებად.

როგორ უნდა შეაფასოს მასწავლებელმა მოსწავლეთა კომპლექსური შემოქმედებითი ხასიათის უნარები, მათი საქმიანობა? სპეციალური მეთოდები მათი დიაგნოსტიკისა და შეფასებებისთვის არ არსებობს, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდური ინსტრუმენტები მოსწავლეთა დონის განსაზღვრისთვის. მათ შორის:

- **რეპროდუქციული ცოდნის შემოწმების მეთოდები;**
- **ინფორმაციის გაგებისა და აღქმის შემოწმების მეთოდები;**
- **ანალიზის (კონტექსტის წაკითხვის, ლოგიკური დასკვნების გამოტანის),**
- **სინთეზის (ესეის დაწერა, გეგმის შედგენა და ა.შ.)**

მასწავლებელი შეამოწმებს მიზნის მიღწევისთვის საჭირო შემდეგ ცოდნასა და უნარებს:

- **ქრონოლოგიის ცოდნასა და უნარებს**
- **ფაქტების ცოდნას**
- **ანალიზის უნარს**
- **ცნებებისა და ტერმინების ცოდნას**
- **მიზეზ–შედეგობრივი კავშირების დადგენას**

შედეგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როდესაც ხდება კომპლექსური, შემოქმედებითი ხასიათის დავალებების დიფერენცირება. ამ დროს ძირითადად გამოიყოფა **სამი ტიპის დავალებები:**

I დონის დავალებები: რეპროდუქტიული დავალებებია, რომლებიც საჭიროებენ მოსწავლისთვის მასწავლებლის მხარდაჭერას.

II დონის დავალებები – როდესაც მოსწავლეები უკვე ფლობენ შედარების, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის უნარებს, შეუძლიათ შედეგების ფორმულირება, თუმცა შესაძლებელია დასჭირდეთ მასწავლებლის დახმარებაც.

III დონის დავალებები – მოსწავლეები ფლობენ შედარების, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის უნარს, ამყარებენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ შედეგები.

კომპლექსური დავალების შესახებ დღემდე პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება ისმის. ნაწილი თვლის, რომ ეს მეთოდი გაუმართლებელია და შედეგს არ იძლევა, ნაწილი კი-პირიქით.წარმოგიდგენთ მის დადებით და უარყოფით მხარეებს.

კომპლექსური დავალების დადებითი მხარეები:

- დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება
- კოგნიტური უნარების განვითარება (ანალიზი, სინთეზი, შეფასება)
- მოტივაციის გაზრდა
- საკითხის ღრმად და ამომწურავად შესწავლა
- ინტეგრირება სხვადასხვა საგნებთან

კომპლექსური დავალების უარყოფითი მხარეები:

- დრო (როგორც მასწავლებლის ასევე მოსწავლის მხრიდან)
- დავალების სირთულე და ასაკთან შეუსამაბობა
- მოტივაციის ნაკლებობა (რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული)

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: **მ.სურმავამ** აღნიშნა, აღნიშნული მეთოდი აუცილებელია ყველა საგნის სწავლებისას იყოს გათვალისწინებული. ქალბატონმა **მაია გაბუნიამ** აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან საშუალო საფეხურზეც იგეგმება კომპლექსური დავალებების შემოღება და შესაბამისად კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ სწავლების პროცესში კადეტებში კომპლექსური დავალების შესრულების უნარების გაუმჯობესებას.

დაადგინეს: კათედრის წევრებს მიეცეთ რეკომენდაცია მომავალი სასწავლო წლიდან მეტი დრო დაუთმონ სწავლების პროცესში კომპლექსური დავალების შესრულების უნარების გაუმჯობესებას. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 12:30 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ.ბუბუტეიშვილი/



საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ. მელქაძე/

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 4

ქ.ქუთაისი 28.12. 2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომას ესწრებოდნენ:
კათედრის წევრები:

1.ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება

2.მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება.

3.ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი (კათედრის მდივანი)
4.გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი
5.ქალთამზე მელქაძე - სამოქალაქო განათლება (კათედრის თავმჯდომარე)
6.ირაკლი დეისაძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება,

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე - 5 მასწავლებელი
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. პირველი სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;
2. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

საკითხი #1: პირველი სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო I სემესტრში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია:

2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი, ქვეყანაში არსებული, COVID-19 ვირუსისგან გამოწვეული კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე წარიმართა ცვლილებებით. სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს დაიწყო დისტანციურად - Teams-ის აპლიკაციის გამოყენებით, ხოლო 4 ოქტომბრიდან გაგრძელდა საკლასო ოთახებში. I სემესტრის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი

- ✔ 2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრის განმავლობაში გაიარა ტრენინგი Minecraft-სასწავლო პროცესში.
- ✔ ამჟამად გადის ტრენინგს „ლიდერობის კომპონენტი“.
- ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა ხუთი კადეტი (XII კლ. - ბ.გიორგაძე, თ.ხუციძე და გ.ახვლედიანი, XI კლ. - ს.გოგოძე, გ.გუგუციძე).
- ✔ მეათე კლასებში პროექტ „შეიცანი მამული შენი“-ის ფარგლებში განახორციელა პროექტ გაკვეთილი „ჩემი მშობლიური მხარის ტურისტული გიდი“.
- ✔

მურმან სურმავა -გეოგრაფიის მასწავლებელი

- ✔ სექტემბერში ონლაინ რეჟიმში მე-11 კლასში განახორციელა ინტერაქციული ლექცია თემაზე „გეოგრაფიული რუკა“.
- ✔ გაიარა 12 საათიანი ტრენინგი გეოგრაფიაში წამყვანი მასწავლებლებისთვის.
- ✔ კადეტმა ნინო ბარბაქაძემ ჩემი მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო კონკურსში: „ჯილდო ცოდნისთვის“.
- ✔ კადეტმა ალექსანდრე გვაზავამ მონაწილეობა მიიღო ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში.
- ✔ კადეტმა ნინო ბარბაქაძემ მონაწილეობა მიიღო კონკურსში მოსწავლეთა კონფერენცია „10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე)“.

ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი

- ✔ გაიარა ტრენინგი-- წყაროების გამოყენება ისტორიის მასწავლებლებისთვის (12სთ).
- ✔ მოამზადა კადეტები ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად, 6 კადეტიდან მეორე ტურში გადავიდა 5 კადეტი (გოგოძე საბა 11-3 სასწავლო ჯგუფი მარკოზაშვილი შოთიკო 11-2 სასწავლო ჯგუფი, ჩიტაშვილი თემური 11-2 სასწავლო ჯგუფი, კვანტალიანი გიორგი 12-1 სასწავლო ჯგუფი, ისაკაძე გიორგი 12-1 სასწავლო ჯგუფი)
- ✔ დეკემბრის თვეში კათედრაზე ჩაატარა მეთოდური მუშაობა თემაზე - „კომპლექსური დავალების დადებითი და უარყოფითი მხარეები“.

გიგა ბასილაძე -ისტორია მასწავლებელი

- ✔ გაიარა ტრენინგი-- წყაროების გამოყენება ისტორიის მასწავლებლებისთვის (12სთ).
- ✔ მოამზადა კადეტები ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

ქალთამზე მელქაძე - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

- ✔ 2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრის განმავლობაში გაიარა ტრენინგი Minecraft- სასწავლო პროცესში.
- ✔ ამჟამად გადის ტრენინგს „ლიდერობის კომპონენტი“.
- ✔ გაიარა ტრენინგი პროფესიული უნარებში თემაზე ,,როგორ განვავითაროთ. .მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები“ 12 სთ.
- ✔ განახორციელა საკლასო კვლევა თემაზე ,,პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარეები“.
- ✔ განახორციელა საკლასო პროექტი ,,ჩვენ ვქმნით არასამთავრობო ორგანიზაციას“.

კათედრის წევრების მიერ წლის დასაწყისში შეიქმნა საგნობრივი წრეები, მათ მიერ წარმოდგენილი იქნა სამუშაო გეგმები. I სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობა მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე კვირაში ტარდებოდა მინიმუმ საათ ნახევარი. ძირითადად საწრეო მუშაობა ხორციელდებოდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მომზადებაში, საწრეო მუშაობა გაგრძელდება მეორე სემესტრშიც.

- ✔ გეოგრაფიის წრეში ირიცხება 12 კადეტი;
- ✔ ისტორიის წრეში ირიცხება 24 კადეტი;
- ✔ სამოქალაქო განათლების წრეში ირიცხება 15 კადეტი.

საკითხი N2. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: **ქალთამზე მელქაძემ** კათედრის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა შესრულებული დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნამუშევარის რამდენიმე ნიმუში თითოეული კლასის შემაჯამებლების საშუალო ქულები. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე გაერთიანებულ თითოეულ საგანში კლასების მიხედვით ჩატარდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებები. თითოეულმა მასწავლებელმა კათედრის სხდომაზე წარმოადგინა მათ მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: ისტორიის მასწავლებელმა **მურმან სურმავამ** აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვეხმარება გავანალიზოთ თითოეულ კლასში ჩატარებული სამუშაოები. უკეთესი შედეგის მისაღებად, დავგეგმოთ ამ კლასში განსახორიელებელი ღონისძიებები და ა.შ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 15:00 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/ზ.ბუბუტეიშვილი/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ქ.მელქაძე/**

ოქმი № 5

ქ.ქუთაისი 22.03.2022

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები:

1. ქალთამზე მელქაძე - კათედრის თავმჯდომარე, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი;

2.. ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიისა და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი;

3. ზინა ბუბუტეიშვილი - კათედრის მდივანი, ისტორიის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი;

4. მურმან სურმავა- გეოგრაფიისა და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი;

4. გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი;

7. მაია გაბუნია - დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესში

8. ვაჟა ჭელიძე - სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 5 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. მეთოდური საკითხის განხილვა-რეკომენდაცია

საკითხი #1: მეთოდური საკითხის განხილვა-რეკომენდაცია

მომხსენებელი: ისტორიის მასწავლებელი **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის მდივანმა დამსწრე საზოგადოებას მოახსენა,რომ კათედრის თავმჯდომარე სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის წამყვანი ქალთამზე მელქაძე წარმოადგენს პრეზენტაციის სახით მეთოდური საკითხს ,, განათლება მდგრადი განვითარებისთვის “.

ქალთამზე მელქაძემ პრეზენტაციაში განათლება- თითოეული ადამიანის უფლებაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა და პოტენციალი აქვს. თავისუფლების, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების პრინციპები სწორედ განათლებას ეფუძნება… არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი მისია, ვიდრე საყოველთაო განათლებაა“.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის კონცეფციის საფუძველია:

- საყოველთაობა და განათლების უწყვეტობა;
- მხარდაჭერა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან;
- თანამედროვე მეცნიერული მიღწევების ინტეგრაცია ეკოლოგიურად მდგრადი სოციუმის მოდელების განვითარებისათვის;
- სწავლებისა და აღზრდის შეთანაწყობა;
- სწავლებისას ინტერდისციპლინური მიდგომა;
- პოზიტიური ურთიერთკავშირი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის და გამოცდილებასა და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული სწავლება.

ქალთამზე მელქაძე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მდგრადი განვითარების საკითხების შესწავლა მოითხოვს ერთიან, ინტერდისციპლინარულ, საგანთაშორისო მიდგომას. მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები ორგანულად უნდა შეეთვისოს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების პროგრამებს. გაკვეთილებზე მუდმივად უნდა ექცეოდეს ყურადღება შესასწავლ საგანსა და ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური და ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვა ასპექტების მდგრადობას ან არამდგრადობას შორის ურთიერთკავშირს. სწავლების პროცესი აუცილებელად ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლეებმა თავად გამოიტონან დასკვნა ადამიანის ცხოვრებასა და გარემოს შორის ჰარმონიულობის აუცილებლობის არსებობის შესახებ.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის არც ახალი პროგრამაა და არც ახალი დისციპლინა. იგი, მხოლოდ და მხოლოდ, განათლების სფეროში პოლიტიკის მიდგომების შეცვლაა და მისი ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მიზანი ისაა რომ, დაეხმაროს პედაგოგებს, რათა მათ შეძლონ ჩართონ მდგრადი განვითარების ამოცანები და იდეები საკუთარ სასწავლო პროგრამებში. ცხადია, ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა უმთავრესი მაინც პედაგოგთა, და მთელი განათლების სისტემის დაინტერესებაა, თუმცა საზოგადოების წინაშე მდგარი ამ პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზები არ არსებობს. აუცილებელია ადამიანებს ვასწავლოთ უკეთ გააცნობიერონ, შეიმეცნონ და გაიაზრონ ის, რაც ჩვენ გარემომცველ გარემოში, ეკონომიკასა და საზოგადოებაში ხდება და დღესვე იპოვონ პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზები

საზოგადეობის ყველა წევრისა და გარემოს ინტერესების დაცვისა და ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით.

ქალთამზე მელქაძემ აღნიშნა, იმისათვის, რომ მდგრად მსოფლიოში ვიცხოვროთ, ადამიანებმა უნდა შეძლონ წარმოიდგინონ მდგრადი მომავალი და ის რეალისტური გზები და ხერხები, რომლებიც დაგვეხმარება მასთან მისასვლელად; იმისათვის, რომ მდგრადი განვითარების იდეები მოსწავლეებისთვის ნამდვილად მიმზიდველი და ატრაქციული გახდეს მასწავლებლებმა უფრო ხშირად უნდა განიხილონ ის საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ გეგმების და პროგრამების რეალიზაციის შედეგად მიღებულ პირად სარგებლობას ეხება.

მასწავლებლების წინაშე 4 ძირითადი ამოცანა დგას:

1. დაეხმაროს მოსწავლეებს შეიმეცნონ რატომაა მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გაგება საჭირო და აუცილებელი;
2. აქტიურად ჩართონ მოსწავლეები მდგრადი განვითარების პრობლემების განხილვაში;
3. ასწავლონ როგორ უნდა შეძლონ პრობლემების სხვადასხვა რაკურსით განხილვა;
4. ასწავლონ და წაახალისონ მოსწავლეები, რომ მდგრადი განვითარების პრობლემებზე იფიქრონ არა მხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ ფორმალური განათლების სისტემის გარეთაც.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: გეოგრაფიის მასწავლებელმა ბესიკი მაჩიტაძემ აღნიშნა, რომ დადგა დრო, როცა პედაგოგებმა, განათლება მდგრადი განვითარების მოთხოვნების შესაბამისად, კრიტიკულად უნდა გადახედონ თავის საქმიანობას. პრობლემის გასააზრებლად შერჩეული მაგალითები, სასურველია, დაკავშირებული იყოს მოსწავლეთა საცხოვრებელ ლოკაციასთან, რეგიონთან. ამ შემთხვევაში ისინი უფრო ნაცნობი, რეალური და გასაგები იქნება მოსწავლეთათვის, და შესაბამისად, გაიზრდება მათი განხილვისა და ანალიზის მოტივაცია.

დაადგინეს: კათედრის წევრებს მიეცეთ რეკომენდაცია მომავალი სასწავლო წლიდან იმისათვის, რომ მდგრადი განვითარების იდეები მოსწავლეებისთვის ნამდვილად მიმზიდველი და ატრაქციული გახდეს უფრო ხშირად განიხილონ ის საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ გეგმების და პროგრამების რეალიზაციის შედეგად მიღებულ პირად სარგებლობას ეხება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 17:00 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ.ბუბუტეიშვილი/

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ.მელქაძე/

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 6

ქ.ქუთაისი

06.06.2022

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები:

1. **ქალთამზე მელქაძე -** სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის მასწავლებელი (კათედრის თავმჯდომარე);
2. **ზინა ბუბუტეიშვილი** – ისტორიის მასწავლებელი (მდივანი);
3. ბესიკი მაჩიტაძე – გეოგრაფიის მასწავლებელი;
4. მურმან სურმავა – გეოგრაფიის მასწავლებელი;
5. გიგა ბასილაძე – ისტორიის მასწავლებელი;
6. ირაკლი დეისაძე – სამოქალაქო ტავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ **ქალთამზე მელქაძემ.** მან კათედრის წევრებს გააცნო დღის წესრიგი .

დღის წესრიგი

1. გეოგრაფიის საგნის წამყვანი მასწავლებლის **ბესიკ მაჩიტაძის** კანდიდატურის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მისთვის განსაკუთრებული წესით მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: **ქ. მელქაძე**

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე.**
